საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 6 23 0000648350

06/06/2023

მოქალაქე ანის
ელ ფოსტა: foi+request-2682-64ed4da6@askgov.ge

ქალბატონო ანი,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილ თქვენს განცხადებასთან (სამინისტროში რეგისტრაციის N577143; 22.05.2023) დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლებისა და ასევე „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით დანართის სახით წარმოგიდგენთ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას საქართველოს საჯარო სკოლებში დასაქმებულ ფსიქოლოგთა რაოდენობის შესახებ. მონაცემები დათვლილია უნიკალური კოდის მიხედვით (იხ. დანართი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებასა და შესაბამის დასკვნაში აღწერილია მოსწავლის შესაძლებლობები, გაწერილია რეკომენდაციები სასწავლო პროცესის ორგანიზების მიმართულებით, ასევე განსაზღვრულია სჭირდება თუ არა მოსწავლეს დამატებითი სპეციალისტი, მათ შორის ფსიქოლოგი, დასკვნა მიეწოდება სკოლას, რის შემდეგაც სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნას.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საჯარო სკოლის ფსიქოლოგების გარდა, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში ფუნქციონირებს ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი (სამმართველო), რომლის ფსიქოლოგებიც ქვეყნის მასშტაბით, ფსიქოსოციალურ მომსახურებას სთავაზობს საგანმანათლებლო დაწესებულების ქცევითი და ემოციური სირთულეების მქონე მოსწავლეებს, მათ მშობლებსა და კანონიერ წარმომადგენლებს. ცენტრი ქვეყნის განფენილობის გათვალისწინებით, შედგება 8 რეგიონული ცენტრისგან.

ამასთან, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 24 საათიანი ცხელი ხაზი, რომლის მიზანია დროული და დაუყოვნებელი ფსიქოლოგიური კონსულტაციის გაწევა, ასევე, კომპეტენციის ფარგლებში, მომსახურების მიმღებთათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება. ასევე, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის საკონსულტაციო მომსახურების მიღების მიზნით, ფუნქციონირებს ვებ-გვერდი befriend.mes.gov.ge, რომელიც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, სრული კონფიდენციალურობის დაცვით, ონლაინ ჩათის საშუალებით, მიიღოს კვალიფიციური ფსიქოლოგიური კონსულტაცია.
მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს კრიზისულ ინტერვენციებს მთელი საქართველოს მასშტაბით. ცენტრში დაკომპლექტებული მობილური ჯგუფი, კრიზისული სიტუაციის შემთხვევაში, ახორციელებს დაუყოვნებელ ვიზიტს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. დამტკიცებულია კრიზისული შემთხვევების მართვის პროტოკოლი, რომელიც განსაზღვრავს კრიზისის მართვის პროცესში ჩართული სუბიექტების კოორდინირებულად მუშაობის პრინციპებს, პროცედურებსა და უფლებამოსილებებს.

აქვე გაცნობებთ, რომ საშუალო აკადემიური მოსწრება სკოლებისა და საგნების მიხედვით განსხვავებულია, კერძოდ, არსებობს განმსაზღვრელი შეფასება, რაც გულისხმობს 10 ბალიანი სისტემით მოსწავლის შეფასებას და განმავითერებელი შეფასება, რაც მოიცავს მასწავლებლის მხრიდან მოსწავლის სიტყვიერ ან წერილობით შეფასებას (კომენტარის სახით), გარდა ამისა, არსებობს საგნები, რომლებიც სემესტრის ბოლოს ფასდება "ჩათვლით". ასევე სკოლის სამეურვეო საბჭო სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, შესაბამისად მეორე და მესამე პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია მიზანშეწონილია გამოითხოვოთ საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან.

აქვე გაცნობებთ, რომ უფლება გაქვთ, მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

დანართი: "01" ელექტრონული ფაილი

პატივისცემით,
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოხელე

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი)
საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის
ფუნქციათა შემსრულებელი
ნათია ლომთაძე